კლუბის სახელწოდება:

ემოციური ინტელექტი

კლუბის ხელმძღვანელი - თამარ გაფრინდაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია - T: 597670680,

ელ. ფოსტა: tamar.gaprindashvili@cea.ge

შეხვედრების განრიგი - კვირაში ორი დღე

კლუბში გაწევრიანება - შეუძლია თანამედროვე განათლების აკადემიის ნებისმიერ მოსწავლეს. კლუბში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა - 5, მაქსიმალური - 10.

კლუბის მიზნები და ამოცანები. კლუბის მიზანია: 1. მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ჯანსაღი ცნობიერება; 2. შესაბამისი აქტივობების მეშვეობით ასწავლოს, როგორ მართოს საკუთარი თავი და ემოციები; 3. აუმაღლოს სოციალური ცნობიერება; 4. ხელი შეუწყოს ურთიერთობების მართვაში.

ემოციური ინტელექტი გვეხმარება განვსაზღვროთ, გამოვიყენოთ და ვმართოთ ჩვენი საკუთარი ემოციები სოციალურად მისაღები ფორმით. გარშემომყოფებთან დავამყაროთ ეფექტიანი კომუნიკაცია, პოზიტიური და ემოციურად ჯანსაღი ურთიერთობა. ბავშვებისათვის ამ უნარების განვითარება უმნიშვნელოვანესია და ეხმარება მას პრობლემურ სიტუაციებში, რათა გააცნობიეროს საკუთარი საჭიროებები, მიზნები თუ ღირებულებები.

ემოციური ინტელექტის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ისეთი პიროვნული

თვისებების განვითარება, როგორიცაა ემოციური მდგრადობა, დადებითი დამოკიდებულება საკუთარ თავთან და ემპათია.

ჩვენი კლუბის მიზანია ინტენსიური ფსიქოლოგიური მუშაობა რათა დავეხმაროთ ბავშვს შეიცნოს და გაანალიზოს თავისი გრძნობა, ემოცია კი არ ჩაახშოს ან უარყოს, არამედ შეიგრძნოს ის. მიხვდეს რატომ განიცდის ამ გრძნობას და ისწავლოს მისი გამოხატვა. ბავშვები შეძლებენ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეცნობას, კონფლიქტებისა და ემოციების მართვას.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები და აქტივობები. თეორიული ცოდნის გაზიარება, შესაბამისი მხატვრული ლიტერატურის განხილვა, როლური თამაშები, სავარჯიშოები, ტესტები, არტ თერაპია, ვიდეოებისა და ილუსტრაციების განხილვა და სხვ.

რესურსები. შესაბამისი თემატიკის ინტერნეტ რესურსები, ფსიქოლოგიური ლიტერატურა, საკანცელარიო ნივთები.